ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 260

ქალაქი ქუთაისი 27 აპრილი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, მოქალაქე ქეთევან კვიცარიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და მოქალაქე ქეთევან კვიცარიძის 16.02.2016 წლის N4066/01 და 09.03.2016 წლის N5874/01 განცხადებების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, ქეთევან კვიცარიძისათვის /პირადი N60001106058/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირი N11 სახლის ჩრდილოეთით მდებარე გაზონის ნაწილის /ფართობით: 5.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.22.356/ 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა, განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ მიერ დადებული 22.03.2016 წლის N340 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 500.0 (ხუთასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქე ქეთევან კვიცარიძემ /პირადი N60001106058/ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს კიბის უჯრედის მოსაწყობად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი